



გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

22 ნოემბერი, 2021 წელი

ქ. ქუთაისი

შ ე ს ა ვ ა ლ ი ნ ა წ ი ლ ი

ქუთაისის საქალაქო სასამართლო
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე - მალხაზ ჩუბინიძე
სხდომის მდივანი - ალექსანდრე ხაჭაპურიძე

მოსარჩელე - შპს „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა „რეპროარტი“ (ს/ა 404945244).

დირექტორი - ნათია ბაკურაძე

წარმომადგენელი - ნინო ლალიაშვილი

მომასუხე - ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია

წარმომადგენელი - რუსლან გვეტაძე

მომასუხე - ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წარმომადგენელი - დიმიტრი ახალაძე

დავის საგანი - ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა.

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

1. დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნა:

1.1. ბათილად იქნეს ცნობილი ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 09.06.2021 წლის №844.442116017 ბრძანების მე-2 მუხლი, შპს „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა „რეპროარტი“-ს (ს/ა 404945244) მიმართ პირგასამტეხლოს სახით 120 000 (ასოც ათასი) ლარის ქუთაისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ გადასახდელად დაკისრების შესახებ.

1.2. ბათილად იქნეს ცნობილი ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო თავმჯდომარის 2021 წლის 27 მაისის №382 განკარგულების მე-2 მუხლი, შპს „ქართულ ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა „რეპროარტ“-ს (ს/ნ 404945244) მიმართ პირგასამტებლოს სახით 120 000 (ასოცი ათასი) ლარის ქუთაისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ გადასახდელად დაკისრების შესახებ.

დავის არსი:

2018 წლის 05 ივლისს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტ“-ს შორის დაიდო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება №24 ხოლო 2018 წლის 27 დეკემბერს მოსარჩელეს გადაეცა მოცემულ უძრავ ქონებაზე (ს/ 03.01.22.346) პირობადადებული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა №35 მოსარჩელის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება სრულად იქნა გადახდილი.

მოსარჩელე შეუდგა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

2021 წლის 27 მაისს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოიცა №38 განკარგულება-ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა „რეპროარტ“-ს (ს/ნ 404945244) შორის 2018 წლის 5 ივლისს გაფორმებული № 26 ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო პირობის შეცვლასთან დაკავშირებით ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე, რომლის მიხედვითაც 2018 წლის 5 ივლისს გაფორმებული №26 ხელშეკრულების მე-4 მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების (ერთი მილიონი ლარი ინვესტიცია და მინიმუმ 30 ადამიანის დასაქმება) შესრულების ვადის 2022 წლის 5 ივლისამდე გაგრძელების თაობაზე. ამავე განკარგულების მეორე მუხლით მოსარჩელეს ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების თითქოსდა შეუსრულებლობის გამო, დაეკისრა დარიცხული პირგასამტებლო 120 000 (ასოცი ათასი) ლარის გადახდა ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 09.06.2021 წლის № 844.442116017 ბრძანებით ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადმა სტრუქტურულმა ერთეულმა ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მმართველის სამსახურს დაევალა უზრუნველყოფოს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა „რეპროარტს“ შორის 2018 წლის 5 ივლისს გაფორმებული № 26 ნასყიდობის ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

სახეზე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოსარჩელის მიმართ ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის სახელმძღვანელო პრინციპების - საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, კანონის წინაშე თანასწორობის, უფლებამოსილები განხორციელება კანონის საფუძველზე, საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის და თანაზომიერების პრინციპის შეგნებული დარღვევა, რაც სარჩელის დაკმაყოფილები საფუძველია.

2. მოპასუხეთა პოზიცი:

2.1. მოპასუხეებს შესაგებელი არ წარმოუდგენიათ.

2.1.2. სასამართლო სხდომაზე მოპასუხე ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელმა რუსლან გვეტაძემ განმარტა, რომ არ არსებობს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 09.06.2021 წლის № 844.442116017 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი, რადგან შ.პ.ს „ქართულ - ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა „რეპროარტი“-ს მიერ არ შესრულდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

კერძოდ - 2018 წლის 27 ივნისს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი №26 შესაბამისად, მყიდველი ვალდებული იყო შეემჩილ უძრავ ქონებაზე ორი წლის განმავლობაში განეხორციელებია არანაკლებ 1 (ერთი) მილიონი ლარის ინვესტიცია და მასვე უნდა დაესაქმებია მინიმუმ 30 (ოცდაათი) ადამიანი.

2.1.3. სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენელი.

3. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

3.1.1. საქმის მასალებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის № 65 დადგენილებით დამტკიცებული დამატებითი წესებისა და პირობების მოთხოვნების შესაბამისად 27.06.2018 წელს მოწყობილ აუქციონზე ქ. ქუთაისი ჯავახიშვილის ქუჩა # 83 ა-ს ჩრდილოეთით მდებარე 600 კვ.მ ფართობის არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საჯარო რეესტრის ამონაწერი #03.01.22.346) მოსარჩელე შ.პ.ს „ქართულ - ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტი“ მის მიერ შეთავაზებული ფასის 84 000 ლარის საფუძველზე, გამოცხადდა გამარჯვებულად და შესაბამისად მოხდა მოცემული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა.

2018 წლის 27 ივნისს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი №26 შესაბამისად, მყიდველი ვალდებული იყო შეემჩილ უძრავ ქონებაზე ორი წლის განმავლობაში განეხორციელებია არანაკლებ 1 (ერთი) მილიონი ლარის ინვესტიცია და

დაასაქმოს მინიმუმ 30 (ოცდაათი) ადამიანი.

მტკიცებულება: 2018 წლის 27 ივნისს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი № 26 (იხ.ტ.1.ს.ფ.20-21).

3.2.2. საქმის მასალებით, 2018 წლის 05 ივლისს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შ.პ.ს „ქართულ -ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტ“-ს შორის დაიდო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება №26, ხოლო 2018 წლის 27 დეკემბერს მოსარჩელეს გადაეცა მოცემულ უძრავ ქონებაზე (ს/კ 03.01.22.346) პირობადადებული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა № 39. მოსარჩელის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება სრულად იქნა გადახდილი.

მტკიცებულება: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება №26.ბ) პირობადადებული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა №39. (იხ.ტ.1. ს.ფ.22-26).

3.2.3. საქმის მასალებით, მოსარჩელე შეუდგა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. 19/02/2019 წელს შპს-ს დირექტორმა განმეორებით მიმართა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს და შეატყობინა, რომ მოსარჩელის მიერ შეძენილ მიწის ნაკვეთზე ეწყობა დიდი მოცულობის ბეტონის ფილები, რის გამოც კლინიკა ვერ ახერხებდა შენობის ასაგებად საჭირო წინამოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას- აღნიშნული კი საფრთხეს უქმნიდა სახელმწიფოს მიერ დათქმულ ვადაში შესაბამისი ინვესტიციის განხორციელებას.ამასთან, კლინიკა „რეპროარტი“ -ს დირექტორის განმარტებით იგი ვერ გახდებოდა პასუხისმგებელი მითითებული ბეტონის ფილათა შენახვაზე.

ამავე განცხადებით დგინდება, რომ 2018 წლის ნოემბერში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მეორე მხარეს უკვე მიაწოდა ინფორმაცია (განკ.რეგ.№ 5459/01. - 21.02.2019წ). აღნიშნული განცხადების პასუხად (01/03/2019 წ. №01/5347) ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა მოსარჩელეს მიუთითა, რომ ზედამხედველობის სამსახური წინააღმდეგი არაა შ.პ.ს „ქართულ -ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტ“-ს თავისივე ხარჯებით გადაეტანა დასაწყობებული ბეტონის კონსტრუქციები ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებულ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 03.01.22.347)

მტკიცებულება: განცხადება - რეგისტრაციის ნომერი 5459/01.რეგ.თარიღი 21.02.2019 წ. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის პასუხი (01/03/2019 წ. №01/5347). (ტ.1.ს.ფ. 27-29)

3.2.4. საქმის მასალებით, მოსარჩელის 2019 წლის II ოქტომბრის (რეგ.№ 1/24744) განცხადების პასუხად შ.პ.ს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-მ

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული პაკეტის მიხედვით შ.პ.ს „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტ“-ს აღუქვა წყალმომარაგების და წყალანირების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების სამუშაოების ჩატარება. ხოლო 10.12.2019 წელს მხარეებს შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ.№83 ა-ს ჩრდილოეთით მდებარე ობიექტზე შესრულებული წყალმომარაგებისა და წყალანირების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების სამუშაოების და ანაზღაურების შესახებ და 04.10.2019 წელს მოსარჩელის მიერ გადახდილ იქნა წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური.

საქმის მასალებით, ასევე, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ 15.02.2020 წლის №51061777 პასუხის მიხედვით დგინდება, რომ შ.პ.ს „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტ“-ს სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-საგან გაეგზავნა 25.12.2019 წლის №5105015 ხელშეკრულება, დანართი და ტექნიკური პირობები ხელმოასწერად.

01.05.2019 წელს მოსარჩელის მხრიდან გადახდილ იქნა ახალი აბონენტის ქსელზე მიერთების საფასური (მიმღები სს „ენერგო-პრო ჯორჯია“).

მტკიცებულება: შ.პ.ს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-ს პასუხი №14449/35. (18/10 2019 წ). საგადასახადო დავალება (04.10.2019) სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ პასუხი 15.02.2020 წლის №51061777; საგადასახადო დავალება 01.05.2019 წ. (ტ.1. ს.გ.30-35);

3.2.5. საქმის მასალებით, 2018 წლის 05 ივლისის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შ.პ.ს „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტ“-ს შორის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ნაყიდობის ხელშეკრულება №26 -ის ვალდებულებების შესრულების მიზნით მოხდა მთელი რიგის სამუშაოების განხორციელება. მათ შორის ა(ა)იპ ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტო"-სთან, შპს „ახალ ქსელთან“, „სოკარ გაზ“-თან, „ენერგო-პრო ჯორჯია“-სთან, სს „სილქნეტ“-თან.

ამავე დროს მოხდა ხელშეკრულებების (შეთანხმების) გაფორმება. ამასთან, შეტანილი იქნა განცხადება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენასთან დაკავშირებით (საქმის №02200603-11, 29.02.2020წ.).

მტკიცებულება: ა(ა)იპ ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტო"-სთან; შპს „ახალ ქსელთან“, „სოკარ გაზ“-თან; „ენერგო-პრო ჯორჯია“-სთან; სს „სილქნეტ“-თან მიმორჩერა. საკადასტრო გეგმები და აზმებით ნახაზი; შეთანხმება. (ტ.1.ს.გ.36-48)

3.2.6. საქმის მასალებით, პროექტირების დასრულებამდე, ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილება „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“, რომლის თანახმად,

სამედიცინო დაწესებულებისთვის საჭირო ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვრა ამავე დადგენილების მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით. კერძოდ: სამედიცინო ობიექტებისთვის, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს მინიმუმ 1 ავტოსადგომი ყოველ 50 მ²-ზე. კანონის მოთხოვნის გათვალისწინებით, მოსარჩელის მიერ შეძენილი მიწის ნაკვეთი ფართობით 600 კვ.მ. (ს/კ 03.01.22.346) არ იყო საკმარისი, იმ შენობის ასაშენებლად, რომელიც დააგეგმავოფილებდა პირობადადებული საკუთრების დამადასტურებელ მოწმობა N39-ში მითითებულ სააუქციონო პირობას. პარკირების საკითხსა და მუნიციპალიტეტის წინაშე ნაკისრი ვალდებულების უგეროვნად შესასრულებლად მოსარჩელე იძულებული გახდა მის მიერ შეძენილი მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ, დამატებით შეეძინა 329 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 03.01.22.381, შექმნის თარიღი-07.08.2020) (რისთვისაც საჭირო გახდა დამატებითი, გაუთვალისწინებელი, ფინანსური რესურსის გამოყოფა). შესაბამისად მოხდა აღნიშნული ორი ნაკვეთის გაერთიანება.

შესაბამისად, თავიდან გაცეთა განაცხადი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენასთან დაკავშირებით განახლებულ საკადასტრო ერთეულზე (საქმის ნომერი: 4420307147-10, 02.11.2020). 2020 წლის 9 ნოემბერს გამოიგა ბრძანება №8/10.44203142 და 2020 წლის 24 დეკემბერს შეტანილი იქნა ელექტრონული განცხადება (საქმის ნომერი: 442035969-10) მშენებლობის ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებით. ამასთან, 2020 წლის 25 დეკემბერის წერილით, ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მიემართეთ ქ.ქუთაისის შერს თხოვნით ვალდებულების შესრულების ვადის გადავადებასთან დაკავშირებით.

მტკიცებულება: ამონაწერი საუარო რეგისტრიდან. მიწის ნაკვეთის გაერთიანების საკადასტრო აგეგმვითი/აზოშვითი ნახაზი. (ტ.1. ს.ფ. 108-124)

3.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები:

3.2.1. მოცემულ შემთხვევაში სადავო გარემოება, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას, მოხდა თუ არა სრულყოფილად იმის გამოკვლევა, რაც გასაჩივრებულ გადაწყვეტილების მიღებას დაედო საფუძვლად, აღნიშნული კი სამართლებრივი მსჯელობის და შეფასების კატეგორიას წარმოადგენს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (შესაშე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნოვითიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

სასამართლო განმარტავს, რომ როდესაც დავის საგანი შეეხება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულ აქტს მტკიცების ტვირთი ანუ მტკიცების მოვალეობა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ეკისრება იმ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელმაც გამოსცა ეს აქტი. კანონმდებლის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული მტკიცების ტვირთი არ გულისხმობს მოსარჩელის გათავისუფლებას მოთხოვნის დასაბუთებისა და მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან. მოთხოვნა მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს, ხოლო შემდგომ ამ მოთხოვნათა უარყოფისა და საპირისპიროს დამტკიცების ვალდებულება ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება.

სამოტივაციო ნაწილი

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

4.1. საქმეში არსებული მასალებისა და სხდომაზე გამოცხადებული მხარის ახსნა-განმარტების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ქართულ-აშერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტი (ს/ნ 404945244) სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

- 5.1. საქართველოს კონსტიტუცია;
- 5.2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- 5.3. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
- 5.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განხორციელების ერთგვარი საზომი, გულისხმობს ყველა იმ სიკეთის სასამართლოში დაცვის შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით უფლებას წარმოადგენს. ამიტომაც სამართლიანი სასამართლოს უფლება არის უმნიშვნელოვანესი მექანიზმი, რომელიც აწესრიგებს ინდივიდსა და სახელმწიფოს, ასევე, კერძო პირებს შორის არსებულ სადავო ურთიერთობებს, უზრუნველყოფს კონსტიტუციური უფლებების ეფექტურ რეალიზაციას და იცავს დაცულ სფეროში გაუმართლებელი ჩარევისაგან.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. სასამართლო დაცვის უფლება თავად არის ადამიანის ერთ-ერთი დამოუკიდებელი უფლება, ამასთან, ადამიანის ყველა სხვა უფლებისა და თავისუფლების აუცილებელი გარანტია, დაცვის საშუალება.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის

პირველი პუნქტის პირველი წინადადების შესაბამისად, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

იგავს რა სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რომელსაც გააჩნია ფუნდამენტური მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში, ევროკონვენციის მე-6 მუხლს უკავია ცენტრალური ადგილი კონვენციის სისტემაში. აღნიშნული მუხლის დაცვის ობიექტს წარმოადგენს კანონის უზენაესობის პრინციპი, რომელსაც ემყარება მთლიანად საზოგადოება.

6.2. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაგმავყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი.

სასამართლო ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მიიჩნევა, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ ქვეული ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 09.06.2021 წლის №44.442116017 ბრძანების მე-2 მუხლი, „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა „რეპროარტი“-ს (ს/ნ 404945244) მიმართ პირგასამტეხლოს სახით 120 000 (ასოცი ათასი) ლარის ქუთაისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ გადასახდელად დაკისრების შესახებ და ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2021 წლის 27 მაისის №382 განკარგულების მე-2 მუხლი, შპს „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა „რეპროარტი“-ს (ს/ნ 404945244) მიმართ პირგასამტეხლოს სახით 120 000 (ასოცი ათასი) ლარის ქუთაისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ გადასახდელად დაკისრების შესახებ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დავის განხილვისას უნდა შემოწმდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტის გამოცემის მოწესრიგებულ შესაბამის ნორმებთან და სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტების დებულებებთან.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის

„ბ“ ქვებუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვებუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება.

სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯაროსამართლებრივი, ასევე კერძოსამართლებრივი ფორმები, მათ შორის, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

6.2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაძლებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით.

6.3. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს კვლევის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირის მიმართ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, პირგასამტეხლოს დაკისრების კანონიერების შემოწმება, რადგან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლით განმტკიცებული კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე; 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი

გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

სასამართლო ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ აქტებში მითითებას იმის შესახებ, რომ შპს „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა „რეპროარტი“-ს (ს/ნ 404945244) მიერ დარღვეულია 2018 წლის 27 ივნისის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №26 ოქმის პირობა, რომლის შესაბამისად, მყიდველი ვალდებული იყო შეძენილ უძრავ ქონებაზე ორი წლის განმავლობაში განეხორციელებინა არანაკლებ 1 (ერთი) მილიონი ლარის ინვესტიცია მინიმუმ 30 (ოცდაათი) ადამიანის დასაქმებით, რადგან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები მითითებენ სრულიად სხვა გარემოებებზე, ფაქტები გამორიცხავენ პირის ბრალეულობას და შესაბამისად საჯარიმო სასჯელის გამოყენების შესაძლებლობას.

კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება, ამავე კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილით, მოვალის მიერ ვადის გადაცილებისას კრედიტორს შეუძლია დაუნიშნოს მოვალეს ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი დრო. თუკი მოვალე ამ დროშიც არ შეასრულებს ვალდებულებას, მაშინ კრედიტორს უფლება აქვს ვალდებულების შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით. ხოლო, 352-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება).

საქმის მასალების თანახმად, მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრა ისეთი არსებითი პირობები, რომელთა შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს წარმოეშვებოდათ ვალდებულებები, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი 2018 წლის 27 ივნისის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №26 ოქმის შესაბამისად, მყიდველი ვალდებული იყო შეძენილ უძრავ ქონებაზე ორი წლის

განმავლობაში განხორციელება არანაკლებ 1 (ერთი) მილიონი ლარის ინვესტიცია მინიმუმ 30 (ოცდაათი) ადამიანის დასაქმებით.

განსახილველ შემთხვევაში დადგინდა, რომ 2018 წლის 05 ივლისს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შ.პ.ს „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტ“-ს შორის დაიდო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ნახცივობის ხელშეკრულება №26, ხოლო 2018 წლის 27 დეკემბერს მოსარჩელეს გადაეცა მოცემულ უძრავ ქონებაზე (ს/კ 03.01.22.346) პირობადდებული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა № 39. მოსარჩელის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება სრულად იქნა გადახდილი. (ტ.1. ს.ფ.22-26).

დადგინდა, რომ მოსარჩელე შეუდგა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. 19/02/2019 წელს შპს-ს დირექტორმა განმეორებით მიმართა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს და შეატყობინა, რომ მოსარჩელის მიერ შემენილ მიწის ნაკვეთზე ეწყო დიდი მოცულობის ბეტონის ფილები, რის გამოც კლინიკა ვერ ახერხებდა შენობის ასაგებდ საკმარის წინამოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას- აღნიშნული კი საფრთხეს უქმნიდა სახელმწიფოს მიერ დათქმულ ვადაში შესაბამისი ინვესტიციის განხორციელებას.ამასთან, კლინიკა „რეპროარტი“-ს დირექტორის განმარტებით იგი ვერ გახდებოდა პასუხისმგებელი მითითებული ბეტონის ფილათა შენახვაზე.

ამავე განცხადებით დგინდება, რომ 2018 წლის ნოემბერში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მეორე მხარეს უკვე მიაწოდა ინფორმაცია (განკ.რეგ.№ 5459/01. - 21.02.2019წ). აღნიშნული განცხადების პასუხად (01/03/2019 წ. №01/5347) ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა მოსარჩელეს მიუთითა, რომ ზედამხედველობის სამსახური წინააღმდეგი არაა შ.პ.ს „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტ“-ს თავისივე ხარჯებით გადაეტანა დასაწყობებული ბეტონის კონსტრუქციები ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებულ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 03.01.22.347) (ტ.1.ს.ფ. 27-29).

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, მსარჩელემ მიმართა შ.პ.ს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-ს და 2019 წლის 11 ოქტომბრის (რეგ.№1/24744) განაცხადის პასუხად შ.პ.ს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-მ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული პაკეტის მიხედვით, შ.პ.ს „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტ“-ს აღუძვა წყალმომარაგების და წყალანიერების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების სამუშაოების ჩატარება. ხოლო 10.12.2019 წელს მხარეებს შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ.№83 ა-ს ჩრდილოეთით მდებარე ობიექტზე შესრულებული წყალმომარაგებისა და წყალანიერების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების სამუშაოების და ანაზღაურების შესახებ და 04.10.2019 წელს მოსარჩელის

მიერ გადახდილ იქნა წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური.

საქმის მასალებით, ასევე, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ 15.02.2020 წლის №51061777 პასუხის მიხედვით დგინდება, რომ შპს „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტ“-ს სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-საგან გაეგზავნა 25.12.2019 წლის №5105015 ხელშეკრულება, დანართი და ტექნიკური პირობები ხელმოსაწერად.

01.05.2019 წელს მოსარჩელის მხრიდან გადახდილ იქნა ახალი აბონენტის ქსელზე მიერთების საფასური (მიმღები სს „ენერგო-პრო ჯორჯია“). (ტ.1.ს.ფ.30-35);

ასევე უდავო ფაქტია რომ 2018 წლის 05 ივლისის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტ“-ს შორის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება №26 -ის ვალდებულებების შესრულების მიზნით მოხდა მთელი რიგის სამუშაოების განხორციელება. მათ შორის ა(ა)იპ ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და მეგლთა დაცვის სააგენტო"-სთან, შპს „ახალ ქსელებთან“, „სოკარ გაზ“-თან, „ენერგო-პრო ჯორჯია“-სთან, სს „სილქნეტ“-თან. ამავე დროს მოხდა ხელშეკრულებების (შეთანხმების) გაფორმება. ამასთან, შეტანილი იქნა განცხადება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენასთან დაკავშირებით (საქმის N02200603-11, 29.02.2020წ.). (ტ.1.ს.ფ.36-48)

იმის გამო, რომ პროექტირების დასრულებამდე, ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილება „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“, რომლის თანახმად, სამედიცინო დაწესებულებისთვის საჭირო ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვრა ამავე დადგენილების მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით. კერძოდ: სამედიცინო ობიექტებისთვის, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს მინიმუმ 1 ავტოსადგომი ყოველ 50 მ²-ზე. კანონის მოთხოვნის გათვალისწინებით, მოსარჩელის მიერ შექმნილი მიწის ნაკვეთი ფართობით 600 კვ.მ. (ს/კ 03.01.22.346) არ იყო საკმარისი, იმ შენობის ასაშენებლად, რომელიც დააკმაყოფილებდა პირობადადებული საკუთრების დამადასტურებელ მოწმობა N39-ში მითითებულ სააუქციონო პირობას. პარკირების საკითხისა და მუნიციპალიტეტის წინაშე ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესასრულებლად მოსარჩელე იძულებული გახდა მის მიერ შექმნილი მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ, დამატებით შეეძინა 329 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 03.01.22.381, შექმნის თარიღი-07.08.2020) (რისთვისაც საჭირო გახდა დამატებითი, გაუთვალისწინებელი, ფინანსური რესურსის გამოყოფა). შესაბამისად მოხდა აღნიშნული ორი ნაკვეთის გაერთიანება.

შესაბამისად, თავიდან გაკეთდა განცხადი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენასთან დაკავშირებით განახლებულ საკადასტრო ერთეულზე (საქმის ნომერი: 4420307147-10, 02.11.2020). 2020 წლის 9 ნოემბერს გამოიცა ბრძანება

№8/10.44203142 და 2020 წლის 24 დეკემბერს შეტანილი იქნა ელექტრონული განცხადება (საქმის ნომერი: 442035969-10) მშენებლობის ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებით. ამასთან, 2020 წლის 25 დეკემბერის წერილით, ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მოსარჩელემ თხოვნით მიმართა ქ.ქუთაისის მერს ვალდებულების შესრულების ვადის გადავადებასთან დაკავშირებით. (ს.ვ. 108-124).

მოსარჩელის ოურიდიული ინტერესს წარმოადგენს დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება.

საქართველოს საკასაციო სასამართლომ საქმეზე №ბს-181(კ-20) 27 მაისი, 2020 წელი, მიუთითა რა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლზე, განმარტა, რომ პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, ხოლო 418-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღმატებოდეს შესაძლო ზიანს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, პირგასამტეხლო უნდა იყოს გონივრული და ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი. სასამართლოს გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში პირგასამტეხლოზე შეთანხმება, არ ნიშნავს, უპირობოდ, მხარისათვის პირგასამტეხლოს შეთანხმებული ოდენობით დაკისრების ვალდებულებას."

6.4. სასამართლო მხარის პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებისას მიუთითებს საყოველთაოდ ცნობილი კოვიდ (COVID-19) ინფექციით გამოწვეულ ფორს-მაჟორულ გარემოებაზე.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოში დავა დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ ოურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზე დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება;

აღმინის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვეციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთი, ადმინისტრაციული აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების დროს ადმინისტრაციული აქტის გამოცემ ორგანოს ეკისრება, რაც არ გამოირიგავს

მოწინააღმდეგე მხარის ვალდებულებას, წარმოადგინოს ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები. კრიტერიუმში, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მიითვებული ფაქტებიდან, თუ რომელი აპართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა სარჩელის საგანი - მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი, მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ. გადაწყვეტილება საქმეზე Ruiz Torija v. Spain, §§ 29-30). შესაბამისად, უფლებს მოსმენაზე მოივებს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ - სასამართლოს ვალდებულებას, გადაწყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მგარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ. გადაწყვეტილება საქმეზე Seryavin and Others v. Ukraine §§ 55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. Kraska v. Switzerland, § 30; Van de Hurk v. The Netherlands, § 59; Perez v. France, § 80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ იცოდნენ და ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. Milatova and others v. The Czech republic §59; niderost-huber v. Switzerland, § 24; k.s. v. finland § 21; ასევე - სუსგ №ას-1191-1133-2014, 14.05. 2015 წ.);

სასამართლოს მიზნია, რომ COVID-19 ან მისგან გამომდინარე გარემოებები შესაძლებელია ჩაითვალოს ფორსმაჟორად (დაუბეჭედი ძალა) და გახდეს სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი კი.

გარემოების ფორს-მაჟორად მიჩნევისთვის აუცილებელია დაკმაყოფილდეს ყველა შემდეგი წინაპირობები: გარემოებამ უშუალოდ უნდა გამოიწვიოს სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობა - მიუხედავად COVID-19-ის მასშტაბურობისა, აუცილებელია პირმა დასაბუთოს, რომ კონკრეტული ხელშეკრულების ფარგლებში ვალდებულების შეუსრულება შეუძლებელია.

ფორს-მაჟორულ გარემოებასა და ვალდებულების შეუსრულებლობას შორის უნდა არსებობდეს პირდაპირი კავშირი.

გარემოება უნდა იყოს უჩვეულო და მხარის კონტროლს მიღმა წარმოშობილი - COVID-19 თავისი ბუნებით უჩვეულო და მხარეთა კონტროლს მიღმა წარმოშობილი მოვლენაა. ამასთან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს წარმოიქმნა თუ არა ვალდებულების შესრულებისათვის ხელშემშლელი გარემოება მხარის ნებისაგან დამოუკიდებლად.

ასევე, გარემოების გათვალისწინება და მისი თავიდან აცილება გონივრულად შეუძლებელი უნდა იყოს - თუ მხარეს ხელშეკრულების დადებისას შეეძლო გათვალისწინებინა ან შემდგომ თავიდან აეცილებინა გარკვეული მოვლენის დადგომა, მაშინ იმისდა მიუხედავად, რომ მოვლენა ობიექტურად მასშტაბური ხასიათისაა და პირს ხელს უშლის ვალდებულების შესრულებაში, ის მაინც ვერ მიიჩნევა ფორს-მაჟორად.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის განმარტებით, რაც ასევე უტყუარად დასტურდება საქმეში წარმოდგენილი და სასამართლოს მიერ შეფასებული მტკიცებულებებით, ხელშეკრულების მიმართ მოსარჩელის ინტერესი დაკარგული არ არის, აღნიშნული გარემოების დამადასტურებელია თვით გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტები, რომლითაც მოსარჩელეს 2018 წლის 27 ივნისის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №26 ოქმის პირობა - შეძენილ უძრავ ქონებაზე ორი წლის განმავლობაში განეხორციელება არანაკლებ 1 (ერთი) მილიონი ლარის ინვესტიცია მინიმუმ 30 (ოცდაათი) ადამიანის დასაქმებით - გადაევადა 2022 წლის 5 ივლისამდე და გადავადების საფუძველად სწორედ ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული ეპიდემიის მითითებული.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, მოპასუხე ვალდებულია, წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. ამასთან, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი.

დასახელებული ნორმის საფუძველზე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოა ვალდებული დაამტკიცოს, რომ ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე და მისი გამოცემით არ დარღვეულა მოსარჩელის კანონიერი უფლებები, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონის ეს მოთხოვნა ათავისუფლებს მოსარჩელეს მტკიცების ტვირთისგან, რომ სადავო აქტი ითვლება არამართლზომიერად იქამდე, ვიდრე მისი გამომცემი არ დაამტკიცებს მის მართლზომიერებას.

სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის მე-6.1 მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ადმინისტრაციულმა ორგანომ პასუხისმგებლობის უმაღლესი ხარისხით უნდა მოახდინოს მის დისკრეციას მიკუთვნებული საკითხების განხილვა-გადაწყვეტა, რაც სამოქალაქო წესრიგის დაცვის აუცილებელი პირობა და გარანტია.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საქმეზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ფორს-მაჟორულ პირობებშიც მხარე ცდილობს ვალდებულების შესრულებას და აქვს ხელშეკრულების შესრულების ინტერესი, პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს ვალდებულების ისეთი დარღვევისათვის, რასაც გავლენა არ მოუხდენია ხელშეკრულების საბოლოო შედეგზე (როგორც აღინიშნა ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდა 2022 წლის 05 ივლისამდე), და შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილებით, გამოცემიდან ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 მაისის N 383 განკარგულების მე-2 მუხლი, ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტის (ს/ნ 404945244) მიმართ პირგასამტეხლოს სახით 120 000 (ასოცი ათასი) ლარის დაკისრების შესახებ.

ასევე, გამოცემიდან ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 09 ივნისის ბ.44.442116017 ბრძანების მე-2 მუხლი, ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტის (ს/ნ 404945244) მიმართ პირგასამტეხლოს სახით

120 000 (ასოცი ათასი) ლარის დაკისრების შესახებ, რადგან სასამართლოს ამოცანაა მხარე დაიცვას უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვისათვის მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ურთიერთობის დამყარებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ, მათი თავისუფალი ნების მოსალოდნელ შედეგებს.

7. საპროცესო ხარჯები

7.1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს სარჩელზე დავის საგნის ღირებულების 3%-ს, მაგრამ არანაკლებ 100 (ასი) ლარისა, ამავე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დავის საგნის ღირებულება არაქონებრივ დავებზე შეადგენს 100 ლარს.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 10-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც.

მოსარჩელის მიერ სარჩელზე გადახდილი აქვს სახ.ბაჟი 3600 (სამიათას ექვსასი) ლარი და სარჩელის უზრუნველყოფისათვის გადახდილი აქვს 50 ლარი, რაც მოპასუხეებს სოლიდარულად უნდა დაკისროთ მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელად.

სარჩელზე ზედმეტად გადახდილი სახ.ბაჟი 100 (ასი) ლარი უნდა დაუბრუნდეს მოსარჩელე -

შპს „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა „რეპროარტი“-ს (ს/ნ 404945244) ბიუჯეტიდან და ამოირიცხოს ანგარიშიდან 300183150; საგადასახდო დავალება #0.გადამხდელი ნინო ლალიაშვილი პ/ნ 60002007484; თიბისი ბანკი; თარიღი 09.07.2021 წელი.

8. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

8.1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1991 მუხლის თანახმად - სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

8.2. მოცემულ საქმეზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 23 ივლისის განჩინებით დაკმაყოფილდა ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტის (ს/ნ 404945244) შუამდგომლობა და საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერდა ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 მაისის N 383 განკარგულების და ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 09 ივნისის ბ.44.442116017 ბრძანების მოქმედება. შუამდგომლობის შეცვლის მოთხოვნით მოსარჩელეს სასამართლოსთვის არ მოუმართავს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი და მე-2 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 55-ე, 244-ე, 248-ე, 249-ე, 257-ე, 364-ე, 367-ე, 369-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა „რეპროარტი“-ს (ს/ნ 404945244) სარჩელი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი გამოცემიდან ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 მაისის N 383 განკარგულების მე-2 მუხლი, შპს „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა „რეპროარტი“-ს (ს/ნ 404945244) მიმართ პირგასამტეხლოს სახით 120 000 (ასოცი ათასი) ლარის დაკისრების შესახებ.
3. ბათილად იქნეს ცნობილი გამოცემიდან ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 09 ივნისის ბ.44.442116017 ბრძანების მე-2 მუხლი, შპს „ქართულ-ამერიკული

რეპროდუქციული კლინიკა „რეპროარტი“-ს (ს/ნ 404945244) მიმართ პირგასამტებლოს სახით 120 000 (ასოცი ათასი) ლარის დაკისრების შესახებ.


4. მოსარჩელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახ.ბაჟი 3600 (სამიათას ექვსასი) ლარი და მოსარჩელის მიერ სარჩელის უზრუნველყოფისათვის გადახდილი 50 ლარი, მოპასუხეებს სოლიდარულად დაკისროთ მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელად.

5. სარჩელზე ზედმეტად გადახდილი სახ.ბაჟი 100 (ასი) ლარი დაუბრუნდეს მოსარჩელე - „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტი“-ს (ს/ნ 404945244) ბიუჯეტიდან და ამოირიგოს ანგარიშიდან 300183150; საგადასახდო დავალება #0.გადამხდელი ნინო ლალიაშვილი პ/ნ 60002007484; თიბისი ბანკი; თარიღი 09.07.2021 წელი.

6. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება დარჩეს უცვლელი.

7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიუპორტის ქ. №32), 14 დღის ვადაში, მხარისთვის მოტივირებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების დღიდან, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11)


მოსამართლე



მალხაზ ჩუბინიძე

հոշո Յոհո

12. 06. 2021



ՎԱՅՆԻՍ ԳԻՏԻ